საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/242 " 10 " სექტემბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის უძრავი ქონების განკარგვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მიმდინარე წელს იგეგმება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. სამუშაოების დაწყებისათვის საჭიროა სასამართლოს სამსართულიანი შენობის (საკადასტრო კოდი 43.31.49.344) მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების (ერთსართულიანი საქვაბის და საგენერატოროს (№2, №3) დემონტაჟი. საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანების შესაბამისად, გეგმავს ზემოაღნიშნული ქონების განკარგვას მათ დემონტაჟზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების საშუალებით. აქედან გამომდინარე, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა წერილობით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა მითითებული პროცედურის განხორციელებისათვის თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის სარგებლობაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების განკარგვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი